საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №01

ქ. ბათუმი 29 იანვარი, 2018 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიების თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 11 დეკემბრის №02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს დამტკიცების შესახებ" რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 25 დეკემბრის №01-08/58 ბრძანების, „ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრში ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამული მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 29 მაისის №01-08/30 ბრძანების, ბსუ-ს 2018 წლის ბიუჯეტის, ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების კოორდინატორის, ასოცირებულ პროფესორის ნელი ახვლედიანის 2018 წლის 15 იანვრის მოხსენებითი ბარათისა (№26126) და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე ბსუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ბსუ-ს სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ბსუ-ს პერსონალს (მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულ და ბსუ-ში არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილების მქონე პირებს) ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით უცხო ენების მოკლევადიან პროგრამებზე სწავლისათვის ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ განესაზღვროს შეღავათიანი სწავლის საფასური.

2. წინამდებარე გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შეღავათით ბსუ-ს პერსონალმა (მათ შორის მოწვეულმა) ისარგებლოს 2018 წლის განმავლობაში და ბსუ-ს 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსების ფარგლებში.

3. საჭიროების შემთხვევაში ბსუ-ს რექტორთან შეთანხმებით გამოცემული იქნეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება შეღავათიანი სწავლის საფასურის გადამხდელი პირებისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით (ჯგუფში მსმენელთან რაოდენობა, სწავლის დაწყების და დასრულების, მაღალი დონის პროგრამაზე სწავლის გაგრძელების და სხვა).

4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და მართვის ორგანოებს.

5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**